

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №478

2021 წლის 28 სექტემბერი

ქ. თბილისი

საკვალიფიკაციო მოთხოვნები სანერგე მეურნეობისთვის, რომელიც აწარმოებს ხეხილის გასამრავლებელ მასალასა და ნერგებს

მუხლი 1

სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 75-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული „საკვალიფიკაციო მოთხოვნები სანერგე მეურნეობისთვის, რომელიც აწარმოებს ხეხილის გასამრავლებელ მასალასა და ნერგებს.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2024 წლის 1 ივნისიდან.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი

საკვალიფიკაციო მოთხოვნები სანერგე მეურნეობისთვის, რომელიც აწარმოებს ხეხილის გასამრავლებელ მასალასა და ნერგებს

მუხლი 1. მიზანი და მოქმედების სფერო

1. „საკვალიფიკაციო მოთხოვნები სანერგე მეურნეობისთვის, რომელიც აწარმოებს ხეხილის გასამრავლებელ მასალასა და ნერგებს“ (შემდგომში – წესი) განსაზღვრავს „სავალდებულო სერტიფიცირებისადმი დაქვემდებარებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 9 აგვისტოს №411 დადგენილებით (შემდგომში – სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ნუსხა) განსაზღვრულ სავალდებულო სერტიფიცირებისადმი დაქვემდებარებული ხეხილის წარმოებისათვის განკუთვნილი მცენარეების გასამრავლებელი მასალის და ხეხილის ნერგების მწარმოებელი სანერგე მეურნეობის მიმართ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

2. ეს წესი ვრცელდება იმ სანერგე მეურნეობაზე, რომლის საქმიანობაც დაკავშირებულია სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ნუსხით გათვალისწინებული ხეხილოვანი კულტურების გვარის ან/და სახეობის მცენარესთან. ეს წესი ასევე ვრცელდება საძირე მასალაზე და მცენარის გვარის ან/და სახეობის სხვა ნაწილზე, რომლებიც არ შედის სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ნუსხაში, ასევე მათ ჰიბრიდებზე, იმ შემთხვევაში, თუ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ნუსხით გათვალისწინებული გვარის ან/და სახეობის მასალის დამყნობა უნდა მოხდეს ამ მასალაზე.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. ამ წესის მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **კომპეტენტური ორგანო** – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრი (შემდგომში – ცენტრი);

ბ) **კლონი** – ცალკეული მცენარისგან მიღებული ვეგეტატიურად და გენეტიკურად ერთგვაროვანი მოდგმა-შტო;

გ) **დისტანციური ხელშეკრულება** – სავაჭრო ხელშეკრულება პარტნიორებს შორის ორგანიზებული დისტანციური გაყიდვების მეშვეობით წინასწარი შეკვეთის გეგმის საფუძველზე ფიზიკური



კონტაქტის გარეშე;

დ) **საბოლოო მომხმარებელი** – მომხმარებელი, რომელიც აშენებს ან რგავს ხეხილოვანი კულტურების ნერგებს, საკუთარი მოხმარების ან დეკორატიული მიზნით;

ე) **ხეხილის ნერგი** – ნერგი, რომლის რეალიზაციის შემდეგ უნდა მოხდეს მისი დარგვა ან გადარგვა;

ვ) **სანერგე მეურნეობა** – ბიზნესოპერატორი, რომელიც რეგისტრირებულია, როგორც ბიზნესოპერატორი, ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და პროფესიულად ჩართულია ხეხილის ნერგების გასამრავლებელ მასალასთან ან ხეხილის ნერგებთან დაკავშირებულ სულ მცირე ერთ ისეთ აქტივობაში, როგორცაა:

ვ.ა) წარმოება, მათ შორის გაზრდა, გამრავლება და მოვლა;

ვ.ბ) საქართველოში იმპორტი და გადაადგილება ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ;

ვ.გ) რეალიზაცია;

ვ.დ) შენახვა, შეგროვება, მომზადება და გადამამუშავება;

ზ) **სანერგე მეურნეობის საქმიანობის ჟურნალი** – სანერგე მეურნეობაში განხორციელებული ყველა ტექნიკური და ადმინისტრაციული საქმიანობის ჟურნალი;

თ) **სანერგე მეურნეობის მცენარეთა გადაადგილების ჟურნალი** – სანერგე მეურნეობაში ან სანერგე მეურნეობიდან, ასევე სანერგე მეურნეობის შიგნით ხეხილის ნერგების გასამრავლებელი მასალის და ხილის ნერგების ნებისმიერი გადაადგილების ჟურნალი;

ი) **სანერგე მეურნეობის წარმომადგენელი** – ფიზიკური პირი, რომელიც წარმოადგენს სანერგე მეურნეობას;

კ) **გასამრავლებელი მასალა** – თესვები, მცენარის ნაწილი და მცენარის ყველა მასალა, მათ შორის საძირეები, რომელიც ეკუთვნის სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ნუსხით განსაზღვრულ სახეობებს და გამიზნულია ხეხილის ნერგების გამრავლებისა და წარმოებისთვის;

ლ) **კვალიფიციური სანერგე მეურნეობა** – სანერგე მეურნეობა, რომელიც შესულია კვალიფიციური სანერგე მეურნეობის რეესტრში;

მ) **მცირე რაოდენობა** – მცენარის ან/და მცენარის პროდუქტის, კვირტების ან გადანაჭერის გარკვეული რაოდენობა, რომლის დადგენაც უნდა მოხდეს ცენტრის მიერ მცენარის სახეობის, ჯიშის და მავნე ორგანიზმების რისკის გათვალისწინებით;

ნ) **ჯიში** – ბოტანიკური ტაქსონომიის ფარგლებში არსებული უდაბლესი რანგის მცენარეთა ჯგუფი, ან ხაზი, რომელიც:

ნ.ა) განსაზღვრულია მოცემული გენოტიპის ან კომბინირებული გენოტიპების ნიშან-თვისებების გამომჟღავნების შედეგად;

ნ.ბ) განსხვავდება სხვა ნებისმიერი მცენარეთა ჯგუფისგან მითითებული ნიშან-თვისებებიდან სულ მცირე ერთი ნიშნის გამომჟღავნებით;

ნ.გ) შეიძლება განხილული იყოს, როგორც ობიექტი, გამრავლება-კვლავწარმოების დროს მისი ნიშან-თვისებების უცვლელად შენარჩუნების თვალსაზრისით;

ო) **სარგავი მასალა** – მცენარე და მისი ვეგეტაციური ორგანოები, რომლებიც განკუთვნილია მცენარის გასამრავლებლად;

პ) **ჯიშის ოფიციალური აღწერა** – ჯიშობრივი მახასიათებლების ერთობლიობა, რომელიც თან ახლავს



ეროვნულ კატალოგში შეტანილ ჯიშს.

2. ამ წესის მიზნებისათვის ასევე გამოიყენება სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით და სხვა ნორმატიული აქტებით განსაზღვრული ტერმინები, თუ ამ წესით სხვაგვარად არ არის დადგენილი.

მუხლი 3. სანერგე მეურნეობის წარმომადგენელი

1. სანერგე მეურნეობას უნდა ჰყავდეს სანერგე მეურნეობის წარმომადგენელი.

2. სანერგე მეურნეობის წარმომადგენელი შეიძლება იყოს ფიზიკური პირი, რომელიც პასუხისმგებელია მის მიერ წარმოდგენილი სანერგე მეურნეობის მიერ განხორციელებულ და ამ წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სულ მცირე ერთ აქტივობაზე.

3. სანერგე მეურნეობა ვალდებულია დაიცვას „ხეხილოვანი კულტურების გასამრავლებელი მასალისა და ხილის წარმოებისთვის გამიზნული ნერგების ბაზარზე განთავსების პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 17 იანვრის №40 დადგენილებით განსაზღვრული პირობები და მოთხოვნები.

4. კვალიფიციური სანერგე მეურნეობის წარმომადგენელი უფლებამოსილია:

ა) შემოიტანოს საქართველოს ტერიტორიაზე ან/და მოახდინოს ქვეყნის შიგნით გადაადგილება იმ ნერგებისა და გასამრავლებელი მასალის, რომლებსაც სჭირდებათ ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი ან მცენარის პასპორტი;

ბ) მიმართოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სურსათის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) მცენარის პასპორტის გაცემის მოთხოვნით;

გ) განათავსოს ბაზარზე მის მიერ წარმოებული ხეხილის ნერგი, რომელიც სულ მცირე აკმაყოფილებს სტანდარტული მასალის Conformitas Agraria Communitatis (CAC) მოთხოვნებს.

მუხლი 4. კვალიფიციური სანერგე მეურნეობის რეესტრი

1. სანერგე მეურნეობა უფლებამოსილია განაცხადით მიმართოს ცენტრს, კვალიფიციური სანერგე მეურნეობის რეესტრში შეყვანის თაობაზე.

2. მხოლოდ კვალიფიციური სანერგე მეურნეობის რეესტრში რეგისტრირებული სანერგე მეურნეობა არის უფლებამოსილი, მოახდინოს საკუთარი CAC სტანდარტის შესაბამისი პროდუქციის ბაზარზე განთავსება.

3. კვალიფიციური სანერგე მეურნეობის რეესტრი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) სანერგე მეურნეობის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

ბ) სანერგე მეურნეობის საკონტაქტო ინფორმაცია (მისამართი, ელ.ფოსტა და ტელეფონის ნომერი);

გ) სანერგე მეურნეობის წარმომადგენლის სახელი, გვარი და პირადი ნომერი;

დ) სანერგე მეურნეობის წარმომადგენლის საკონტაქტო ინფორმაცია (მისამართი, ელ.ფოსტა და ტელეფონის ნომერი);

ე) ამ წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული აქტივობები, რომლებიც ხორციელდება სანერგე მეურნეობაში.

4. კვალიფიციურ სანერგე მეურნეობის რეესტრში შესვლის სურვილის მქონე სანერგე მეურნეობა ვალდებულია, ამ წესის დანართი №1-ის „კვალიფიციური სანერგე მეურნეობის რეესტრის განაცხადის



ფორმა“ შესაბამისად, განაცხადით მიმართოს ცენტრს და წარუდგინოს ამავე დანართით განსაზღვრული სხვა სავალდებულო დოკუმენტები. განაცხადი შესაძლებელია წარდგენილ იქნას ელექტრონული ფორმით, შესაბამისი ვებპორტალის საშუალებით.

5. კვალიფიციურ სანერგე მეურნეობის რეესტრში შესაყვანად სანერგე მეურნეობა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) ამ წესის დანართი №1-ით განსაზღვრული ყველა ინფორმაცია, უნდა იყოს ხელმისაწვდომი, სწორი და წარედგინოს ცენტრს მოთხოვნის შემთხვევაში;

ბ) სანერგე მეურნეობის წარმომადგენელს უნდა ჰქონდეს შესაბამისად დადასტურებული კვალიფიკაცია ხეხილის გამრავლების და მცენარეთა ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით, რაც დასტურდება ჩამოთვლილიდან ერთ-ერთით:

ბ.ა) საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი პროფილის დიპლომი;

ბ.ბ) შესაბამისი ტექნიკური განათლების დამადასტურებელი სერტიფიკატი;

ბ.გ) შესაბამისი სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

გ) ჰქონდეს ხეხილის ნერგების გასამრავლებელი მასალის და ხეხილის ნერგების ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი, სადაც აღნიშნული იქნება: მათი წარმოშობა (ადგილობრივი, იმპორტირებული), ფიტოსანიტარიული სტატუსი, ჯიშობრივი სიწმინდე;

დ) აწარმოებდეს სანერგე მეურნეობის საქმიანობის ჟურნალს და სანერგე მეურნეობის მცენარეთა გადაადგილების ჟურნალს.

6. კვალიფიციური სანერგე მეურნეობა ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ცენტრს, განაცხადში მითითებული ინფორმაციის ცვლილების შესახებ.

7. სანერგე მეურნეობას, რომლის შეყვანაც მოხდა კვალიფიციურ სანერგე მეურნეობის რეესტრში, ცენტრი მიანიჭებს სარეგისტრაციო ნომერს, რომელიც უნდა შიცავდეს:

ა) საქართველოს სიმბოლოს – GE;

ბ) სანერგე მეურნეობის საფოსტო კოდს (ინდექსი);

გ) სანერგე მეურნეობის საიდენტიფიკაციო კოდს ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრიდან;

დ) განაცხადის ნომერს.

8. სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი სანერგე მეურნეობას ეცნობება რეგისტრაციიდან 7 კალენდარული დღის განმავლობაში.

9. კვალიფიციური სანერგე მეურნეობის რეესტრი უნდა გამოქვეყნდეს ცენტრის ვებგვერდზე, მოხდეს მისი პერიოდულად განახლება და ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაინტერესებული პირებისათვის.

10. ამ მუხლის მე-2 პუნქტი არ ვრცელდება იმ სანერგე მეურნეობაზე, რომელიც აკმაყოფილებს ერთ-ერთ ქვემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნას:

ა) ექსკლუზიურად და პირდაპირ ახორციელებს საბოლოო მომხმარებლისთვის მცენარის მცირე რაოდენობით მიწოდებას არაპირდაპირი მიყიდვით, დისტანციური ხელშეკრულების საფუძველზე და არაპროფესიული მიზნებისათვის იმ მომხმარებელზე, რომელიც არ არის პროფესიულად ჩართული ხილის ან/და ნერგების წარმოებაში;

ბ) ახორციელებს პროფესიულ საქმიანობას, რაც დაკავშირებულია მცენარის ტრანსპორტირებასთან სხვა სანერგე მეურნეობაში ან სხვა სანერგე მეურნეობის სახელით;



გ) ახორციელებს „სავალდებულო სერტიფიცირებისადმი დაქვემდებარებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების გასავრცელებლად დაშვებისა და მეთესლეობის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას.

მუხლი 5. ჰიგიენა და ტრანსპორტი

კვალიფიციური სანერგე მეურნეობა ვალდებულია უზრუნველყოს შესაბამისი ჰიგიენური და სატრანსპორტო მოთხოვნების დაცვა ამ წესის დანართი №2-ის „ბიოუსაფრთხოება და ჰიგიენა“ შესაბამისად.

მუხლი 6. მიკვლევალობა

1. კვალიფიციური სანერგე მეურნეობის წარმომადგენელი ვალდებულია განახორციელოს ყველა ქმედება, რათა უზრუნველყოს გასამრავლებელი მასალის მიკვლევალობა როგორც სანერგე მეურნეობაში, ასევე სანერგე მეურნეობის ფარგლებს გარეთ, შემდეგი ქმედებების განხორციელებით:

ა) აწარმოოს სანერგე მეურნეობის მცენარეთა გადაადგილების ჟურნალი;

ბ) აწარმოოს სანერგე მეურნეობის საქმიანობის ჟურნალი.

2. კვალიფიციური სანერგე მეურნეობის წარმომადგენელი ვალდებულია შეინახოს ქმედების განხორციელებიდან 3 წლის განმავლობაში ყველა სახის ინფორმაცია და ჩანაწერი, რაც შეტანილია სანერგე მეურნეობის მცენარეთა გადაადგილების ჟურნალში და სანერგე მეურნეობის საქმიანობის ჟურნალში.

3. სანერგე მეურნეობის მცენარეთა გადაადგილების ჟურნალში და სანერგე მეურნეობის საქმიანობის ჟურნალში ასახული და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს ცენტრისთვის.

მუხლი 7. ინსპექტირება, კვალიფიკაციის შეჩერება და გაუქმება

1. სულ მცირე წელიწადში ერთხელ, ცენტრი ვალდებულია განახორციელოს კვალიფიციური სანერგე მეურნეობის ინსპექტირება და შეამოწმოს სანერგე მეურნეობის შესაბამისობა ამ წესით განსაზღვრულ მოთხოვნებთან და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს სააგენტოს მიერ ფიტოსანიტარული კონტროლის განხორციელება.

2. იმ შემთხვევაში, თუ ცენტრი დაადგენს, რომ კვალიფიციურ სანერგე მეურნეობა აღარ ახორციელებს განაცხადით გათვალისწინებულ საქმიანობას, ის ვალდებულია გაუგზავნოს კვალიფიციური სანერგე მეურნეობის წარმომადგენელს შეტყობინება შეუსაბამობის შესახებ.

3. შეტყობინება შეუსაბამობის შესახებ უნდა შეიცავდეს:

ა) იმ მოთხოვნების ჩამონათვალს, რომლებთანაც შეუსაბამობაშია კვალიფიციური სანერგე მეურნეობა;

ბ) მითითებებს შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად განსახორციელებელი ზომების შესახებ;

გ) იმ გონივრული ვადის მითითებას, რომლის განმავლობაშიც უნდა მოხდეს შეუსაბამობის გამოსწორება.

4. თუ სანერგე მეურნეობა არ მოახდენს ხარვეზის გამოსწორებას შეტყობინებით განსაზღვრულ ვადაში, ცენტრი მოახდენს სანერგე მეურნეობის ამოღებას კვალიფიციური სანერგე მეურნეობის რეესტრიდან.

5. მას შემდეგ რაც კვალიფიციური სანერგე მეურნეობა მოახდენს შეუსაბამობის გამოსწორებას, ცენტრი წერილობით დაუდასტურებს კვალიფიციურ სანერგე მეურნეობას შეუსაბამობის გამოსწორებას.

მუხლი 8. კომპეტენციები



1. ცენტრი პასუხისმგებელია:

ა) სანერგე მეურნეობის ხარისხის კონტროლზე და წარმოებული ნერგებისა და სარგავი მასალის CAC სისტემის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს სანერგე მეურნეობაში წარმოებული ნერგების მიკვლევადობა;

ბ) კვალიფიციური სანერგე მეურნეობის რეესტრის მართვასა და განახლებაზე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის განხორციელებისას ცენტრი უფლებამოსილია:

ა) მიიღოს და განიხილოს სანერგე მეურნეობის განაცხადი სანერგე მეურნეობის კვალიფიციურ სანერგე მეურნეობის რეესტრში შესაყვანად, ამ წესის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, რაც გულისხმობს:

ა.ა) სანერგე მეურნეობის პირველად შემოწმებას/ინსპექტირებას, რაც მოიცავს:

ა.ა.ა) განაცხადში მითითებული სავალდებულო დოკუმენტაციის შემოწმებას;

ა.ა.ბ) სანერგე მეურნეობის შენობა-ნაგებობების, ინფრასტრუქტურის, მინდვრის, პარტიის და აღჭურვილობის შემოწმებას;

ა.ა.გ) საძირეთა სადედე ბაღისა და სანამყენე სადედე ბაღის (რქა, კვირტი კალამი) კონტროლს;

ა.ბ) განაცხადის დაკმაყოფილებას და სანერგე მეურნეობის შეყვანას კვალიფიციური სანერგე მეურნეობის რეესტრში და სარეგისტრაციო ნომრის მინიჭებას ამ წესის მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად.

ბ) კვალიფიციური სანერგე მეურნეობის რეესტრში შეყვანისათვის, აღნიშნულ მოთხოვნებთან შეუსაბამობის შემთხვევაში ცენტრი განუსაზღვრავს სანერგე მეურნეობას გონივრულ ვადას შეუსაბამობის გამოსასწორებლად;

გ) სანერგე მეურნეობის შესამოწმებლად პერიოდული ღონისძიებების განხორციელებას, რა დროსაც ცენტრი ამოწმებს:

გ.ა) სანერგე მეურნეობის მცენარეთა გადაადგილების ჟურნალისა და სანერგე მეურნეობის საქმიანობის ჟურნალის სისწორეს და სრულყოფილებას;

გ.ბ) სადედე მცენარეს, ყლორტსამონაყარს და საძირეს (დეკლარირებული სახეობების ჯიშობრივი სიწმინდე და ვიზუალური ფიტოსანიტარიული შემოწმება);

გ.გ) ნერგების რადენობას და სახეობას (დაგეგმილი და საბოლოო);

დ) ჰქონდეს წვდომა ამ წესით განსაზღვრული კვალიფიციური სანერგე მეურნეობის რეესტრზე;

ე) უზრუნველყოს ამ წესის მე-4 მუხლით განსაზღვრული კვალიფიციური სანერგე მეურნეობის რეესტრის შექმნა, საკუთარ ვებვერდზე გამოქვეყნება და მისი განახლება;

ვ) უზრუნველყოს სააგენტოს ჩართულობა სანერგე მეურნეობის ინსპექტირების პროცესში;

ზ) უფლებამოსილია სანერგე მეურნეობას მოსთხოვოს კვალიფიციური, სანერგე მეურნეობის რეესტრში შესაყვანად საჭირო განაცხადში არსებული ინფორმაციის დაზუსტება ან ამ წესის დანართი №1-ით განსაზღვრული სხვა ინფორმაციის წარდგენა. იმ შემთხვევაში, თუ სანერგე მეურნეობა არ მოახდენს ცენტრის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის წარდგენას ან განაცხადში არსებული ინფორმაციის დაზუსტებას შესაბამისი მოთხოვნის მიღებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში, განაცხადი იქნება უარყოფილი.



თ) იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაცია რომელიც საჭიროა სანერგე მეურნეობის კვალიფიციურ სანერგე მეურნეობის რეესტრში შესაყვანად სრულყოფილია, განახორციელოს სანერგე მეურნეობის ინსპექტირება და დადებითი შედეგის შემთხვევაში დაუდასტუროს სანერგე მეურნეობას კვალიფიკაცია და შეიყვანოს კვალიფიციური სანერგე მეურნეობის რეესტრში. სანერგე მეურნეობის დოკუმენტური ინსპექტირება უნდა განხორციელდეს კვალიფიციურ სანერგე მეურნეობის რეესტრში შესაყვანად განაცხადის მიღებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში, ხოლო საველე ინსპექტირება – 20 სამუშაო დღის განმავლობაში.

3. სააგენტო პასუხისმგებელი იქნება ამ წესის მოთხოვნების შესაბამისად სანერგე მეურნეობის მასალის ფიტოსანიტარიულ კონტროლზე. სააგენტო უფლებამოსილია:

ა) ცენტრთან ერთად განახორციელოს პირველადი ინსპექტირება მას შემდეგ, რაც სანერგე მეურნეობა გააკეთებს განაცხადს კვალიფიციური სანერგე მეურნეობის რეესტრში შესაყვანად. აღნიშნული მოიცავს:

ა.ა) ამ წესის დანართი №1-ის შესაბამისად, ცენტრთან ერთად დოკუმენტური შემოწმების განხორციელებას;

ა.ბ) სანერგე მეურნეობის ინფრასტრუქტურის შესაბამისობის დადგენას ნერგისა და სარგავი მასალის წარმოების მოთხოვნებთან, ამ წესის დანართი №2-ის შესაბამისად;

ა.გ) მინდორში/ღია სივრცეში და პარტიაში არსებული მასალის ვიზუალურ შემოწმებას, რათა მოხდეს დანართი №5-ით „საკარანტინო მავნე ორგანიზმებისა და რეგულირებადი არასაკარანტინო მავნე ორგანიზმების სია, რომლებისგანაც თავისუფალი უნდა იყოს ის ხეხილის გასამრავლებელი მასალა და ხილის ნერგები, რომლებიც ეკუთვნის სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ნუსხით განსაზღვრულ სახეობებს“ განსაზღვრული მავნე ორგანიზმების არსებობის ან არარსებობის დადასტურება;

ა.დ) დანართ №5-ში ჩამოთვლილ მავნე ორგანიზმებზე ვიზუალური შემოწმების დროს ეჭვის არსებობის შემთხვევაში ნიმუშის აღებას ნერგიდან ან სარგავი მასალიდან;

ა.ე) აღებული ნიმუშის მიწოდებას საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიისთვის (შემდგომში – ლაბორატორია);

ა.ვ) ცალკეული ინსპექტირების შედეგების შესახებ ინფორმაციის ცენტრისთვის მოწოდებას;

ა.ზ) სანერგე მეურნეობის მიერ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად წარდგენილი მავნე ორგანიზმების რისკის მართვის გეგმის განხილვას;

ბ) განახორციელოს სანერგე მეურნეობის პერიოდული ინსპექტირება, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, მავნე ორგანიზმების რისკის მართვის გეგმის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. აღნიშნული ინსპექტირება უნდა განხორციელდეს სულ მცირე წელიწადში ერთხელ, სანერგე მეურნეობის წარმომადგენლის ან ცენტრის მოთხოვნისას, საველე ინსპექტირების დროს ფიტოსანიტარიული მდგომარეობის შეფასების მიზნით;

გ) ჰქონდეს წვდომა ამ წესით განსაზღვრულ, კვალიფიციური სანერგე მეურნეობის რეესტრზე.

დანართი №1

კვალიფიციური სანერგე მეურნეობის რეესტრის განაცხადის ფორმა



(*აღნიშნული გრაფა სავალდებულოა)

ინფორმაცია განმცხადებლის შესახებ	
ბიზნესოპერატორის საიდენტიფიკაციო ნომერი* ^[1]
სანერგე მეურნეობის ზოგადი სარეგისტრაციო ნომერი *
ნაწილი I: ზოგადი ინფორმაცია (გთხოვთ, შეავსოთ 1-ლი და მე-2 პუნქტების მოთხოვნები სანერგე მეურნეობის სამართლებრივი სტატუსის შესაბამისად)	
1. სანერგე მეურნეობის მესაკუთრე (ფიზიკური პირი) – ივსება იმ შემთხვევაში, თუ სანერგე მეურნეობა ეკუთვნის ფიზიკურ პირს	
1.1 სახელი და გვარი*	
1.2 მისამართი*	
1.3 ელ. ფოსტა*	
1.4 ტელეფონის ნომერი*	
1.5 ვებგვერდი (მისი არსებობის შემთხვევაში)	
1.6 სანერგე მეურნეობის წარმომადგენლის სახელი და გვარი*	
2. სანერგე მეურნეობის მესაკუთრე (იურიდიული პირი) – ივსება იმ შემთხვევაში თუ სანერგე მეურნეობა ეკუთვნის იურიდიულ პირს	
2.1 იურიდიული პირის სახელი*	
2.2 კანონიერი წარმომადგენლის სახელი*	
2.3 სამართლებრივი ფორმა (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა)	ინდივიდუალური მეწარმე
	სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს)
	კომანდიტური საზოგადოება (კს)
	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს)
	სააქციო საზოგადოება (სს, კორპორაცია)
	კოოპერატივი



2.4 მისამართი*		
2.5 ელ. ფოსტა*		
2.6 ტელეფონის ნომერი*		
2.7 ვებგვერდი (მისი არსებობის შემთხვევაში)		
2.8 სანერგე მეურნეობის წარმომადგენლის სახელი და გვარი		
3. სანერგე მეურნეობის წარმომადგენელი (პუნქტი 3.1 და 3.2 ივსება იმ შემთხვევაში, თუ სანერგე მეურნეობის წარმომადგენელი განსხვავდება 1.1 ან 2.1 პუნქტში მითითებულისგან)		
3.1 მისამართი*		
3.2 ტელეფონის ნომერი*		
3.3 პროფესიული კვალიფიკაცია* (გთხოვთ მონიშნოთ შესაბამისი უჯრა) (აუცილებელია სერტიფიკატის მიმაგრება)		<p>უმაღლესი განათლება აგრონომიული ან სხვა მსგავსი მიმართულებით</p> <p>ტექნიკური ცოდნა, სანერგე მეურნეობის საქმიანობის და მცენარის ჯანმრთელობის მიმართულებით, რომელიც მიღებულია სპეციალური კურსის საფუძველზე.</p>
3.4 სამუშაო გამოცდილება (წელი)		
3.5 განხორციელებული აქტივობები* (გთხოვთ, მონიშნოთ შესაბამისი უჯრ(ებ)ი)		ხეხილის ნერგების და დაკავშირებული სარგავი მასალის წარმოება, მათ შორის გაზრდა, გამრავლება და მოვლა
		ხეხილის ნერგების და დაკავშირებული სარგავი მასალის საქართველოში იმპორტი და გადაადგილება ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ
		ხეხილის ნერგების და დაკავშირებული სარგავი მასალის რეალიზაცია
		ხეხილის ნერგების და დაკავშირებული სარგავი მასალის შენახვა, შეგროვება, მომზადება და გადამუშავება
		ხეხილის ნერგების და დაკავშირებული სარგავი მასალის ტრანსპორტირება სანერგე მეურნეობაში ან სანერგე მეურნეობის სახელით
3.6 ხეხილის ნერგების და სარგავი მასალის რეალიზაციის სახე*		პროფესიული მწარმოებლებისთვის დიდი რაოდენობით მიწოდება (მაგ. ხეხილის სანერგე, ხილის მწარმოებელი):
		არაპროფესიული მიზნებისათვის მცირე რაოდენობით საბოლოო მომხმარებლისათვის პირდაპირი მიწოდება (მაგ. ბაზრობა)
3.7 წარმოებული მასალა* (გთხოვთ, მონიშნოთ შესაბამისი უჯრ(ებ)ი)		საძირე
		კვირტი
		გადანაჭერი
		მოზრდილი ხე



	ნერგი
	სხვა (გთხოვთ მიუთითოდ)

3.8 წარმოებული სახეობა (გთხოვთ, მონიშნოთ შესაბამისი უჯრ(ებ)ა)

კურკოვნები		თხილი
	ნუში – <i>Prunus dulcis</i>	წაბლი – <i>Castanea sativa</i>
	გარგარი – <i>Prunus armeniaca</i>	თხილი – <i>Corylus avellana</i>
	ტკბილი ალუბალი – <i>Prunus avium</i>	ფისტა – <i>Pistacia vera</i>
	მყავე ალუბალი – <i>Prunus cerasus</i>	კაკალი – <i>Juglans nigra</i>
	ატამი / ნექტარინი – <i>Prunus persica</i>	მცირე ზომის ხილი და კენკრა
	ევროპული ქლიავი – <i>Prunus domestica</i>	მაყვალა – <i>Rubus spp.</i>
	იაპონური ქლიავი – <i>Prunus salicina</i>	მოცვი – <i>Vaccinium spp.</i>
თესლოვნები		ჟოლო – <i>Ribes spp.</i>
	ვამლი – <i>Malus domestica</i>	მოცხარი- <i>Rubus idaeus</i>
	მსხალი – <i>Pyrus communis</i>	მარწყვი – <i>Fragaria x vesca</i>
	კომში – <i>Cydonia oblonga</i>	სხვა სახეობები
ციტრუსი		ლეღვი – <i>Ficus carica</i>
	ციტრუსის ყველა სახეობა (მთლიანი გვარი)	ზეთისხილი – <i>Olea europaea</i>
	ფორტუნელა – <i>Fortunella</i>	
	პონკირუსი – <i>Poncirus</i>	

4. სანერგე მეურნეობის თანამშრომლები

4.1 კვალიფიციური აგრონომი*	არ არის
	მუდმივი პერსონალი (.....სამუშაო გამოცდილება)



(გთხოვთ, მონიშნოთ შესაბამისი უჯრ(ებ)ი და წარმოადგინოთ დაკავშირებული დოკუმენტაცია)	მუდმივი პერსონალი (.....სამუშაო გამოცდილება)
	სეზონური პერსონალი (.....სამუშაო გამოცდილება)
	სხვა (გთხოვთ, მიუთითოთ)
4.2 სხვა ტექნიკური პერსონალი	არ არის
	მუდმივი პერსონალი (.....სამუშაო გამოცდილება)
	სეზონური პერსონალი (.....სამუშაო გამოცდილება)
	ოჯახის წევრი/ები (.....სამუშაო გამოცდილება)
	სხვა (გთხოვთ, მიუთითოთ)

ნაწილი II: სპეციალური ინფორმაცია

5. სანერგე მეურნეობის მდებარეობა და მიწის ნაკვეთი

5.1 სანერგე მეურნეობის შენობა-ნაგებობის მისამართი *		
5.2 სანერგე მეურნეობის ნაკვეთის ადგილმდებარეობა*	საკადასტრო ინფორმაცია	
უნდა დაერთოს: სანერგე მეურნეობის მიერ გამოყენებული მიწის ნაკვეთის რუკა, თითოეული მიწის ნაკვეთის მითითებით, სადაც მდებარეობს საძირეთა სადედე ბაღი და სანამყენე სადედე ბაღი (რქა, კვირტი, კალამი, სხვა მცენარე/ნერგები და სხვა)		
5.3 მიწის საკუთრების ტიპი და დაკავშირებული არეალი*	საკუთრებაჰექტარი
	ქირაჰექტარი
	გაფართოების პერსპექტივაჰექტარი
(გთხოვთ, მონიშნოთ შესაბამისი უჯრ(ებ)ი და წარმოადგინოთ დაკავშირებული დოკუმენტაცია) (საკუთრების დამადასტურებელი ყველა დოკუმენტი)		
5.4 საქმიანობის დაწყების თარიღი		
5.5 წარმოების ადგილი და შენობა-ნაგებობები	ღია სივრცე: მინდორი	
	ღია სივრცე: კონტეინერები	
	სათბური	
	ლაბორატორია და ნაგებობები მიკროგამრავლებისთვის	
(გთხოვთ, მონიშნოთ შესაბამისი უჯრ(ებ)ი)		



		სხვა (გთხოვთ, დააკონკრეტოთ)
5.6. ადრეული კულტურები* (გთხოვთ, მონიშნოთ შესაბამისი უჯრ(ებ)ი)		ხილი (გთხოვთ, დააკონკრეტოთ)
		ყურძენი
		მარცვლეული
		ბოსტნეული
		სამრეწველო კულტურები
		სხვა (გთხოვთ, დააკონკრეტოთ)
5.7 ნიადაგის ანალიზი მავნე ორგანიზმებზე (იხ. დანართი N5)* (გთხოვთ, მონიშნოთ შესაბამისი უჯრა) უნდა დაერთოს: ანალიზის შედეგი		სრულდება რეგულარულად (გთხოვთ, მიუთითოთ, რა სიხშირით)
	არ ჩატარებულა	

5.8 საწერგე მეურნეობის საზღვართან არსებული მცენარეების აღწერა (ვეგეტაციის ტიპი, სახეობა, კულტივირებული/ზუნებრივი)*:

5.9 საიზოლაციო სარტყელის არეალი* (გთხოვთ, მონიშნოთ შესაბამისი უჯრა)		არ არსებობს
		< 100 მ. (.....)
		100 – 200 მ. (.....)
		200 – 500 მ. (.....)
		500 – 1000 მ. (.....)
		> 1000 მ. (.....)

6. წარმოებული ხეხილის ნერგები და სარგავი მასალა (წარმოების გეგმის შესაბამისად)

6.1 საძირეები: წლიური წარმოება* (გთხოვთ, არსებობის შემთხვევაში, წარმოადგინოთ ინფორმაცია ყველა სახეობისთვის. შესაძლებელია ნუსხის დამატება)		არ ხდება წარმოება
	n.	სახეობა:
	n.	სახეობა:
	n.	სახეობა:
	n.	სახეობა:

6.2 კვირტები: წლიური წარმოება* (გთხოვთ, არსებობის შემთხვევაში,		არ ხდება წარმოება
	n.	სახეობა:



წარმოადგინოთ ინფორმაცია ყველა სახეობისთვის. შესაძლებელია ნუსხის დამატება)	n.	სახეობა:
	n.	სახეობა:
	n.	სახეობა:
6.3 გადანაჭერი: წლიური წარმოება* (გთხოვთ, არსებობის შემთხვევაში, წარმოადგინოთ ინფორმაცია ყველა სახეობისთვის. შესაძლებელია ნუსხის დამატება)	არ ხდება წარმოება	
	n.	სახეობა:
	n.	სახეობა:
	n.	სახეობა:
	n.	სახეობა:
6.4 ხეხილის მთლიანი წერტილი: წლიური წარმოება* (გთხოვთ, არსებობის შემთხვევაში, წარმოადგინოთ ინფორმაცია ყველა სახეობისთვის. შესაძლებელია ნუსხის დამატება)	არ ხდება წარმოება	
	n.	სახეობა:
	n.	სახეობა:
	n.	სახეობა:
	n.	სახეობა:
7. შექმნილი ხეხილის წერტილები და სარგავი მასალა (წარმოების გეგმის შესაბამისად)		
7.1 საძირეები: წლიური წარმოება* (გთხოვთ, არსებობის შემთხვევაში, წარმოადგინოთ ინფორმაცია ყველა სახეობისთვის. შესაძლებელია ნუსხის დამატება)	არ ხდება წარმოება	
	n.	სახეობა:
	n.	სახეობა:
	n.	სახეობა:
	n.	სახეობა:
7.2 კვირტები: წლიური წარმოება* (გთხოვთ, არსებობის შემთხვევაში, წარმოადგინოთ ინფორმაცია ყველა სახეობისთვის. შესაძლებელია ნუსხის დამატება)	არ ხდება წარმოება	
	n.	სახეობა:
	n.	სახეობა:
	n.	სახეობა:
	n.	სახეობა:
7.3 გადანაჭერი: წლიური წარმოება* (გთხოვთ, არსებობის შემთხვევაში, წარმოადგინოთ ინფორმაცია ყველა სახეობისთვის. შესაძლებელია ნუსხის დამატება)	არ ხდება წარმოება	
	n.	სახეობა:
	n.	სახეობა:
	n.	სახეობა:
	n.	სახეობა:



8. ამ ეტაპზე წარმოებული ხეხილის ნერგები და სარგავი მასალა

8.1 ვეგეტატიური გამრავლების შედეგად მიღებული საძირეები

8.1.1 საძირეთა სადედე ბაღი: წარმომავლობა*	საკუთარ საწარგე მეურნეობაში წარმოებული
	შემენილი
	სხვა (გთხოვთ, დააკონკრეტოთ)

8.1.2 საძირეთა სადედე ბაღი: დაარსების წელი*	
--	--

8.1.3. საძირეთა სადედე ბაღი: ინფორმაცია სახეობების მიხედვით* (გთხოვთ მიუთითოთ ნერგების რაოდენობა სახეობების მიხედვით) საჭიროების შემთხვევაში დაამატეთ უჯრ(ებ)ი) უნდა დაერთოს: ინფორმაცია მომწოდებლის და ტრანსპორტირების შესახებ, კატეგორია და ფიტოსანიტარიული სტატუსი)	სახეობა:	რაოდენობა
	სახეობა:	რაოდენობა
	სახეობა:	რაოდენობა
	სახეობა:	რაოდენობა
	სახეობა:	რაოდენობა
	სახეობა:	რაოდენობა
	სახეობა:	რაოდენობა

8.1.4 იმ შემთხვევაში, თუ მოხდა საძირეების შექმნა: გთხოვთ, წარმოადგინოთ ინვოისები ბოლო სამი წლის პერიოდში* (საჭიროების შემთხვევაში დაამატეთ უჯრა)	ინვოისის №	
	თარიღი	
	კომპანია/მომწოდებელი	
	სახეობა	
	მასალის ტიპი	
	მასალის კატეგორია	

8.1.5 მიღებული მასალის სერტიფიკატები* (გთხოვთ მიუთითოთ თითოეულ მიღებულ მასალაზე. (გთხოვთ, მონიშნოთ შესაბამისი უჯრა და დაამატეთ საჭიროების შემთხვევაში)	ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი
	წინა საბაზისო
	საბაზისო
	სერტიფიცირებული
	CAC

8.2. თესლის წარმოების შედეგად მიღებული საძირეები

	საკუთარ საწარგე მეურნეობაში (წელი
--	---



8.2.1 სადედე მცენარე(ები)ე: დაარსების წელი და ადგილმდებარეობა*		სხვა საწერგე მეურნეობაში (წელი
		ველურად
		სხვა (გთხოვთ, დააკონკრეტოთ)
8.3 ჯიშები		
8.3.1 სანამყენე სადედე ბალი: წარმომავლობა*		საკუთარ საწერგე მეურნეობაში წარმოებული
		შემენილი
		სხვა (გთხოვთ, დააკონკრეტოთ)
8.3.2 სანამყენე სადედე ბალი: დაარსების წელი*		
8.3.3 სანამყენე სადედე ბალი – ინფორმაცია სახეობების მიხედვით* (გთხოვთ, მიუთითოთ წერგების რაოდენობა სახეობების მიხედვით) საჭიროების შემთხვევაში დაამატეთ უჯრ(ები)ა. უნდა დაერთოს: ინფორმაცია მომწოდებლის და ტრანსპორტირების შესახებ, კატეგორია და ფიტოსანიტარიული სტატუსი)	სახეობა	წერგის რაოდენობა
	სახეობა	წერგის რაოდენობა
	სახეობა	წერგის რაოდენობა
	სახეობა	წერგის რაოდენობა
	სახეობა	წერგის რაოდენობა
	სახეობა	წერგის რაოდენობა
	სახეობა	წერგის რაოდენობა
8.3.4 იმ შემთხვევაში თუ მოხდა ჯიშის შემენა: გთხოვთ, წარმოადგინოთ ინვოისები ბოლო სამი წლის პერიოდში* (საჭიროების შემთხვევაში დაამატეთ უჯრა)	ინვოისის №	
	თარიღი	
	კომპანია/მომწოდებელი	
	სახეობა	
	მასალის ტიპი	
	მასალის კატეგორია	
8.3.5 მიღებული მასალის სერტიფიკატები*		ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი
		წინა საბაზისო
		საბაზისო
		სერტიფიცირებული
		CAC



9. მცენარეთა წარმოების ტექნიკა

9.1 საძირების გამრავლება (გთხოვთ, მონიშნოთ შესაბამისი უჯრა)	თვითდაფესვიანება
	მიკროგამრავლება
	სხვა (გთხოვთ, დააკონკრეტოთ)
9.2 სამცნობი მასალა (გთხოვთ, მონიშნოთ შესაბამისი უჯრა)	კვირტები
	გადანაჭერი

10. სანერგე მეურნეობის ინფრასტრუქტურა

10.1 სპეციალური მიზნებისათვის არსებული შესაბამისი ადგილი (გთხოვთ, მონიშნოთ შესაბამისი უჯრა და მიუთითეთ სავარაუდო ფართობი მ ²)	შემოსული მასალის მარაგი (ცივად შენახვა) (..... მ ²)
	გამავალი მასალის მარაგი (ცივად შენახვა) (..... მ ²)
	ფიტოსანიტარიული მასალის მარაგი (..... მ ²)
	ქოთნების/კონტეინერების სადეზინფექციო ინფრასტრუქტურა (..... მ ²)
10.2 ლაბორატორიული შესაძლებლობები (არასავალდებულო) (გთხოვთ, მონიშნოთ შესაბამისი უჯრა)	ქიმიური ანალიზი (შაქრის შემადგენლობა, ხილის ტიტრირებადი მჟავიანობა)
	ფიტოსანიტარიული შემოწმება – მიკროსკოპი

11. სანერგე მეურნეობის აღჭურვილობა

11.1 ადგილზე არსებობს (გთხოვთ, მონიშნოთ შესაბამისი უჯრ(ებ)ი)	ადგილი, სადაც ხდება გამრავლების ოპერაციების წარმოება სითბოში
	გაღვივების სიტემები (ნისლით)
	ნიდაგის სასტერილიზაციო სისტემა
	სამცნობი ხელსაწყოები
	განაყოფიერების სისტემა
11.2 ინფიცირებული მასალის განადგურება: გთხოვთ, აღწეროთ გამოყენებული მეთოდი	

თარიღი და ადგილი	
------------------	--



ბიოუსაფრთხოება და ჰიგიენა

მავნე ორგანიზმები შესაძლებელია გახდეს ნერგის დაავადების გავრცელების მიზეზი, როგორც სანერგე მეურნეობის შენობა-ნაგებობებში, ინფრასტრუქტურაში, ხელსაწყოებზე და მინდორში. რისკი დამოკიდებულია მავნე ორგანიზმებზე და მცენარეზე, ასევე იმ ჰიგიენურ სტანდარტზე, რომელიც დაცულია სანერგე მეურნეობაში.

აქედან გამომდინარე, მავნე ორგანიზმების რისკი და გავლენა შესაძლებელია მნიშვნელოვნად შემცირდეს იმ გარემოში, სადაც კარგი ბიოუსაფრთხოება და ხეხილის ბაღის ჰიგიენა დაცულია ყოველდღიურად და არა დაავადების გავრცელების შემდეგ.

ქვემოთ აღნიშნული ელემენტები მნიშვნელოვანია ბიოუსაფრთხოებისა და ჰიგიენის დასანერგად სანერგე მეურნეობაში, რათა უზრუნველყოფილი იყოს ჯანსაღი ნერგის და სარგავი მასალის წარმოება. ამიტომ, აღნიშნული უნდა ექვემდებარებოდეს ინსპექტირებას:

მინდორი და წარმოების ინფრასტრუქტურა

1. სანერგე მეურნეობამ უნდა დაადასტუროს, რომ გააჩნია ამ წესის დანართი №5-ით გათვალისწინებული მავნე ორგანიზმების შემოსვლის და გავრცელების აღსაკვეთად საჭირო ყველა მექანიზმი. აღნიშნული მოიცავს შესაბამის იზოლირებას მეზობელი ნარგავებისაგან, რომლებიც არიან მავნე ორგანიზმების მასპინძლები და საფრთხეს უქმნიან სანერგე მეურნეობაში გავრცელებულ სახეობებს.
2. სანერგე მეურნეობას უნდა გააჩნდეს შემარბილებელი ღონისძიებები (ბუფერული ზონები და ბარიერები) სანერგე მეურნეობაში არსებულ მარაგებსა და გაურკვეველი წარმოების ან მავნე ორგანიზმებზე დადებით ნერგებს შორის.
3. სანერგე მეურნეობა უნდა ახორციელებდეს მინდორში შესაბამის ღონისძიებებს, განსაკუთრებით სხვადასხვა ფიტოსანიტარიული და მავნე ორგანიზმების სტატუს მქონე ნერგების განსაცალკევებლად. ასევე არ უნდა შემცირდეს მათი კონტაქტი ნერგებთან, რომლებიც არიან კომერციულ ან საოჯახო ბაღში და სხვა ნერგებთან, რომლებიც შესაძლებელია დაავადებული იყოს სანერგე მეურნეობისათვის მნიშვნელოვანი მავნე ორგანიზმებით.
4. სანერგე მეურნეობა ვალდებულია დანერგოს სარეველას წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები მინდორში, სათბურში და მეზობელ ტერიტორიაზე.
5. სანერგე მეურნეობამ უნდა უზრუნველყოს მზარდი მინდვრის დაცვა უცნობი წარმომავლობის წყლის წყაროებისგან, როგორცაა მდინარე ან ტბა, ასევე უზრუნველყოფილი უნდა იყოს, რომ მათი მდებარეობა დაცულია წყალდიდობის რისკისგან, რადგან არსებობს წყალდიდობისას სანერგე მეურნეობაში მავნე ორგანიზმების გავრცელების რისკი.

სანერგე მეურნეობის თანამშრომლების ჰიგიენური სტანდარტები

სანერგე მეურნეობამ უნდა უზრუნველყოს, რომ ყველა დასაქმებულმა იცოდეს, გააზრებული ჰქონდეს და იცავდეს ხეხილის ბაღის ჰიგიენურ მოთხოვნებს დაცულ ტერიტორიაზე შესვლამდე, რაც მოიცავს:



ა) მხოლოდ საჭირო აღჭურვილობის გამოყენებას სანერგე მეურნეობაში;

ბ) ხელების დეზინფექციას და ფეხსაცმლის (განსაკუთრებით ძირების) გასუფთავებას შესვლისას და გამოსვლისას სანერგე მეურნეობაში ან/და წარმოების ადგილზე. ფეხსაცმლი სველი წესით ან შესაფერისი სადეზინფექციო ხსნარით უნდა გაიწმინდოს;

გ) სანერგე მეურნეობიდან გამოსვლამდე თანამშრომლების ტანსაცმელი თავისუფალი უნდა იყოს მცენარის მასალა და მიწისგან.

ინფრასტრუქტურის ჰიგიენა

1. უნდა მოხდეს ყველა შენობა-ნაგებობისა და აღჭურვილობის პერიოდული გასუფთავება და დეზინფექცია, რათა ისინი არ გახდნენ ინფექციისა და მავნე ორგანიზმების გავრცელების წყარო.

2. ლაბორატორია/ოთახები, სადაც ხდება ხეხილის ნერგისა და სარგავი მასალის მცნობა, დაფესვიანება, ჭრა და შენახვა უნდა იყოს სუფთა და პერიოდულად მოხდეს მათი დეზინფიცირება.

3. სათბური თავისუფალი უნდა იყოს სარეველასგან შიგნით და გარეთ, სულ მცირე 2 მეტრის დაშორებით.

ტრანსპორტი

1. სანერგე მეურნეობის შიგნით მცენარის გადაადგილება უნდა მოხდეს იმგვარად, რომ არ მოხდეს მავნე ორგანიზმების დაბინძურება ან დასნებოვნება, დაუშვებელია ხეხილის ნერგების და ხეხილის გასამრავლებელი მასალის შერევა იქ, სადაც შესაძლებელია არსებობდეს მავნე ორგანიზმების რისკი.

2. სანერგე მეურნეობის შიგნით და გარეთ მცენარეთა გადაადგილებისათვის გამოყენებული ტრანსპორტი უნდა უზრუნველყოფდეს ნერგისა და სარგავი მასალის დაცვას სითბური და წყლის ზემოქმედებისაგან, ასევე მათ დაცვას მავნე ორგანიზმების გავრცელებისა და დასნებოვნებისაგან.

მცენარის ნარჩენების მართვა

1. დასნებოვნების რისკების თავიდან არიდების მიზნით უნდა მოხდეს ნებისმიერი მასალის ან ობიექტის, რომელზეც არსებობს ეჭვი მავნე ორგანიზმებზე, სანერგე მეურნეობიდან გატანა ან განადგურება დაუყოვნებლივ.

2. მცენარის გადანაჭერი ნარჩენები, ფიტოსანიტარიული რისკის არსებობის შემთხვევაში, უნდა მოცილდეს მინდორს და დაუყოვნებლივ განადგურდეს.

3. დასნებოვნებული ან საეჭვო მასალის განადგურების მეთოდები:

ა) ნერგისა და სარგავი მასალის კონტროლირებადი დამარხვა (საუკეთესო მეთოდი):

ა.ა) ნარჩენი მასალის გადატანა უნდა მოხდეს სამარხზე დაუყოვნებლივ მათი შეგროვების შემდეგ. არ უნდა მოხდეს ნარჩენების შემთხვევით მიმოფანტვა ტრანსპორტირების დროს. სამარხი უნდა იყოს ისეთი სიღრმის, რომ ნარჩენებსა და სამარხის ზედაპირს შორის იყოს ერთი მეტრი დაშორება. ნარჩენები უნდა დაიფაროს სულ მცირე ნახევარი მეტრი სიმაღლის მიწით. უნდა მოხდეს ნიადაგის ზედა ნაწილის განცალკევება და შემდგომ მისი გამოყენება სამარხის ზედაპირის შესავსებად, რათა მოხდეს ბალახის ხელმეორედ აღმოცენება. სამარხზე შესვლა უნდა იყოს შეზღუდული, მაგალითად ღობით, და ირგვლივ უნდა იყოს შესაბამისი აღნიშვნები;

ბ) ნერგისა და სარგავი მასალის დაწვა (ინსენერაცია) (მეორე საუკეთესო მეთოდი):

ამ მეთოდის გამოყენებისას უნდა მოხდეს შესაბამისი უსაფრთხოების ზომების დაცვა:

ბ.ა) ღია სივრცეში ცეცხლის დანთება ნებადართული უნდა იყოს ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მიერ;



ბ.ბ) ადგილმდებარეობის განსაზღვრა: გათვალისწინებული უნდა იქნეს წარმოქმნილი სიტბოს, კვამლისა და სუნის ეფექტი ახლომდებარე ნაგებობებზე, გზაზე და საცხოვრებელ მიდამოზე. კვამლმა შესაძლებელია საფრთხე შეუქმნას საგზაო მოძრაობას ან შეაწუხოს ადგილობრივი მოსახლეობა;

ბ.გ) ადგილმდებარეობის მომზადება: ცეცხლისათვის მომზადებული კონსტრუქცია და დიზაინი უნდა უზრუნველყოფდეს მავნე ორგანიზმების 100%-ით განადგურებას;

ბ.დ) ცეცხლი: გამოყენებული უნდა იქნეს შესაფერისი კატალიზატორი შეგროვებული ნარჩენების რამდენიმე მხარეს, რათა მოხდეს ცეცხლის სწრაფი აალება. მცენარის მასალის განთავსება უნდა მოხდეს საწვავი მასალის ზემოდან, ქვემოდან ჰაერის მოძრაობისთვის შესაბამისი ადგილის გათვალისწინებით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მაქსიმალურად მაღალი ტემპერატურა წვის დროს და ყველაზე ეფექტური წვის პროცესი;

ბ.ე) საწვავი: ეფექტური წვის პროცესი მოითხოვს საწვავის მნიშვნელოვან რაოდენობას სრული წვის მისაღებად. ხელმისაწვდომი საწვავის რაოდენობა და სახეობა მნიშვნელოვნად განსხვავდება. საჭირო საწვავის რაოდენობა უნდა იყოს ცეცხლის ადგილზე;

ბ.ვ) ბიოუსაფრთხოება: არაეფექტურმა ცეცხლმა, არასაკმარისი კატალიზატორის არსებობისას ან სველი მცენარის მასალის გამო, შესაძლოა გაზარდოს მავნე ორგანიზმების გავრცელების რისკი, რადგან მავნე ორგანიზმები შესაძლებელია გავრცელდეს ზემოთ მიმავალი ცხელი ჰაერის საშუალებით.

ნიშნების მნიშვნელობა

ნიშნებმა უნდა ამცნონ ვიზიტორებს ბიოუსაფრთხოების მნიშვნელობის შესახებ და ვიზიტორების როლზე ბიოუსაფრთხოების შესანარჩუნებლად. სანერგე მეურნეობამ უნდა განათავსოს ნიშნები თვალსაჩინო ადგილზე მთავარ შესასვლელთან და სხვა შესასვლელ ადგილებთან. ნიშნებმა უნდა:

- ა) ხაზი გაუსვან სანერგე მეურნეობაში ბიოუსაფრთხოების მნიშვნელობას;
- ბ) მიუთითონ, რომ შესვლა ნებადართულია მხოლოდ ავტორიზებული პირებისათვის;
- გ) მიუთითონ ვიზიტორებს ავტოსატრანსპორტო საშუალების პარკირების ადგილი;
- დ) მიუთითოს ვიზიტორებს ოფისისაკენ ან ამცნონ ვიზიტორთა რეგისტრაციისათვის მოთხოვნები.

ვიზიტორების რეგისტრაცია და ბიოუსაფრთხოების შესახებ ინფორმაციის განთავსება

ადამიანები, რომლებიც გადაადგილდებიან სხვადასხვა სანერგე მეურნეობას, ხეხილის ბაღსა და რეგიონებს შორის, შესაძლებელია უნებლიედ გახდნენ მავნე ორგანიზმების და დაავადებების გავრცელების წყარო, ამიტომ შემარბილებელი ღონისძიებები უნდა განხორციელდეს სანერგე მეურნეობის მიერ აღნიშნული საფრთხის შესამცირებლად.

ა) სანერგე მეურნეობაში შესულ ყველა ვიზიტორს უნდა ეცნობოს, რომ სანერგე მეურნეობა ახორციელებს CAC სისტემის შესაბამის წარმოებას და, ამიტომ, ჰიგიენასთან დაკავშირებული მოთხოვნები უნდა იყოს დაცული;

ბ) ყველა ვიზიტორმა უნდა დაიცვას შესაბამისი პროცედურები და სადაც შესაძლებელია, მოხდეს მათი გაცილება სანერგე მეურნეობის თანამშრომლის მიერ სანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე ყოფნის პერიოდში;

გ) განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ვიზიტორებს, რომლებიც ახლახან იმყოფებოდნენ საზღვარგარეთ, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის გასუფთავება სანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე შესვლამდე.



სანერგე მეურნეობის საქმიანობის ჟურნალი

სანერგე მეურნეობის სარეგისტრაციო ნომერი:

საქმიანობის რიგითობის ნომერი	თარიღი	ღონისძიების ან/აქტივობის აღწერა ¹	თანამშრომელი	ველის/მიწის ნაკვეთის მითითება	რიგი (დან...მდე...) ²	მინდვრის იდენტიფიკაციის სხვა მეთოდი	გამოყენებული მასალა ²	წარმომავლობა ³
1								
2								
3								
4								
5								
6								
(...)								

შენიშვნა: (მაგალითები, არაამომწურავი ჩამონათვალი)

¹ ღონისძიების ან/აქტივობის აღწერა		² გამოყენებული მასალა	³ წარმომავლობა
ა. აქტივობები ხეხილის ბაღში:	ბ. მავნე ორგანიზმების კონტროლი:	ა. მარაგები:	
1 – გადაჭრა	1- მინდვრის/მიწის ნაკვეთის თვითინსპექტირება	1- სასუქი	
2 – გასამრავლებელი მასალის შეგროვება	2 – სახელმწიფო ინსპექტირება	2 – ქიმიკატები	
3 – თესვა	3 – ნიმუშის აღება	3 – ჰერბიციდები	
4 – ტრანსპლანტაცია	3.1 მიწა	4 – სამეწობი მასალა	საწარმოს იდენტიფიკაცია



5 – გამრავლება	3.2 ფოთლები	5 – პლასტიკის ფირი	
5.1 გადანაჭერები	4 – ფიტოსანიტარიული ანალიზი	6 – კონტეინერი	
5.2 დაკალმება		7 – სუბსტრატი	
5.3 კვირტები		8 – მცირე აღჭურვილობა	
5.4 სხვა	გ. ნერგებისა და მასალის მართვა და შენახვა:	9 – სხვა	
6 – მცნობა			
7- დარგვა	1 – რელიზაციისათვის		
8 – მორწყვა	2 – მცნობისათვის	ბ. ნერგი და გასამრავლებელი მასალა:	მიწის ნაკვეთი/სადედე ბალი
9 – სასუქის შეტანა		1 – შიდა მომარაგება	წარმომავლობა
10 – სარეველას კონტროლი		2 – გარე მომარაგება	
11 – ქიმიკატების შესხურება			

დანართი №4

ნაწილი „ა“

(გარე ვაჭრობა)

მესამე პირისგან შეძენილი ან მესამე პირზე რელიზებული მცენარის და გასამრავლებელი მასალის გადაადგილების ჟურნალი

სანერგე მეურნეობის სახელი:

მისამართი:

სარეგისტრაციო ნომერი:

ფურცლის №.....

რიგითობის №	თარიღი დღე/თვე/წელი	ნივთების აღწერილობა (სახეობა, კულტივირებული მასალის ტიპი, რაოდენობა)	შესვლა	(მასალის შესყიდვა)		გასვლა (მასალის გაყიდვა)				
				სარეგისტრაციო ნომერი	თანხმლები დოკუმენტის ტიპი და ნომერი (1)	რიგითობის №	თანხმლები დოკუმენტის ტიპი და ნომერი (1)	კლიენტი	დანიშნულების ქვეყანა	



		საძირე)			სახელი)				

აბრევიატურა:

1. IN = კომერციული ინვოისი

PP = მცენარის პასპორტი

PHC= ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი

<p>ნაწილი „ბ“ (შიდა ვაჭრობა)</p> <p>სანერგე მეურნეობის მცენარეთა და სარგავი მასალის გადაადგილების ჟურნალი</p>	
სანერგე მეურნეობის სახელი:	
მისამართი:	
სარეგისტრაციო ნომერი:.....	
გვერდი №	

№	თარიღ დღე/რიცხვი/წელი	აღწერილობა (კულტივირებული მასალის ტიპი, საძირე))	რაოდენობა	მასალის ტიპი ან გამრავლების მოდელი (1)	მცენარის და მცენარის გასამრავლებელი მასალის წარმომავლობა (მიკვლევადობა)				შენიშვნა
					შემენილი/მიღებული		წარმოებული		
					თანმხლები დოკუმენტის სახეობა და № (2)	ქვეყანა/რეგიონი	სარგავი მასალის მიკვლევადობის რუკა (3)	კულტივაციის რუკის მდებარეობა/ადგილი (3)	



	<i>Phytophthora ramorum</i> (non-EU isolates) Werres, De Cock & Man in 't Veld [PHYTRA]	QPn
მწერები და ტკიპები	<i>Anoplophora chinensis</i> (Thomson) [ANOLCN]	QP
	<i>Aromia bungii</i> (Faldermann) [AROMBU]	QP*
	<i>Popillia japonica</i> Newman [POPIJA]	QP
ნემატოდები	<i>Plenodomus tracheiphilus</i> (Petri) Gruyter, Aveskamp & Verkley [DEUTTR]	RNQP
	<i>Xiphinema americanum</i> Cobb <i>sensu stricto</i> [XIPHAA]	QPn
ვირუსები, ვიროიდები, ვირუსის მსგავსი დაავადებები და ფიტოპლაზმები	Chestnut mosaic agent	RNQP
Citrus L., Fortunella Swingle, Poncirus Raf. – ციტრუსის ხილი, ფორტუნალა, პონსირუსი		
მავნე ორგანიზმების სახეობა	მავნე ორგანიზმების დასახელება	მავნე ორგანიზმების კატეგორია:
ბაქტერია	<i>Xanthomonas citri</i> pv. <i>aurantifolii</i> (Schaad et al.) Constantin et al [XANTAU]	QPn
	<i>Xylella fastidiosa</i> (Wells et al.) [XYLEFA]	QP*
სოკოები და ოოციტები	<i>Phyllosticta citricarpa</i> (McAlpine) Van der Aa [GUIGCI]	QPn*
	<i>Phymatotrichopsis omnivora</i> (Duggar) Hennebert [PHMPOM]	QPn
	<i>Phytophthora citrophthora</i> (R.E.Smith & E.H.Smith) Leonian [PHYTCO]	RNQP
	<i>Phytophthora nicotianae</i> var. <i>parasitica</i> (Dastur) Waterhouse [PHYTNP]	RNQP
	<i>Pseudocercospora angolensis</i> (T. Carvalho & O. Mendes) Crous & U. Braun [CERCAN]	QPn
	<i>Aleurocanthus spiniferus</i> (Quaintance) [ALECSN]	QP
	<i>Aleurocanthus woglumi</i> Ashby [ALECWO]	QPn
	<i>Aleurothrixus floccosus</i> Maskell [ALTHFL]	RNQP
	<i>Anastrepha fraterculus</i> (Wiedemann) [ANSTFR]	QPn
	<i>Anastrepha ludens</i> (Loew) [ANSTLU]	QPn*
	<i>Anastrepha suspensa</i> (Loew) [ANSTSU]	QPn
	<i>Anastrepha obliqua</i> (Macquart) [ANSTOB]	QPn
	<i>Anoplophora chinensis</i> (Thomson) [ANOLCN]	QP*



მწერები და ტკიპები

<i>Anoplophora glabripennis</i> (Motschulsky) [ANOLGL]	QPn*
<i>Bactrocera dorsalis</i> (Hendel) [DACUDO]	QPn*
<i>Bactrocera tryoni</i> (Froggatt) [DACUTR]	QPn
<i>Bactrocera tsuneonis</i> (Miyake) [DACUTS]	QPn
<i>Bactrocera zonata</i> (Saunders) [DACUZO]	QPn*
<i>Diaphorina citri</i> Kuwayana [DIAACI]	QPn
<i>Homalodisca vitripennis</i> (Germar) [HOMLTR]	QPn
<i>Lopholeucaspis japonica</i> Cockerell [LOPLJA]	QPn
<i>Oeomona hirta</i> (Fabricius) [OEMOHI]	QPn
<i>Rhynchophorus palmarum</i> (L.) [RHYCPA]	QPn
<i>Parabemisia myricae</i> Kuwana [PRABMY]	RNQP
<i>Scirtothrips aurantii</i> Faure [SCITAU]	QPn
<i>Scirtothrips citri</i> (Moulton) [SCITCI]	QPn
<i>Scirtothrips dorsalis</i> Hood [SCITDO]	QPn
<i>Thaumatotibia leucotreta</i> (Meyrick) [ARGPLE]	QPn
<i>Thrips palmi</i> Karny [THRIPL]	QPn
<i>Toxoptera citricida</i> (Kirkaldy) [TOXOCI]	QP
<i>Trioza erytrae</i> Del Guercio [TRIZER]	QP
<i>Unaspis citri</i> (Comstock) [UNASCI]	QPn
<i>Zeugodacus cucurbitae</i> (Coquillett) [DACUCU]	QPn
<i>Pratylenchus vulnus</i> Allen & Jensen [PRATVU]	RNQP
<i>Tylenchulus semipenetrans</i> Cobb [TYLESE]	RNQP
<i>Xiphinema americanum</i> Cobb <i>sensu stricto</i> [XIPHAA]	QPn
<i>Citrus cristicortis</i> agent [CSCC00]	RNQP
<i>Citrus exocortis</i> viroid [CEVD00]	RNQP
<i>Citrus impietratura</i> agent [CSI000]	RNQP
Citrus leaf blotch virus [CLBV00]	RNQP
Citrus leprosis viruses [CILV00]: CiLV-C [CILVC0]; CiLV-C2 [CILVC2]; HGSV-2 [HGSV20], Citrus strain of OFV [OFV00] (citrus strain); CiLV-N <i>sensu novo</i> .	QPn
<i>Citrus psorosis</i> virus [CPSV00]	RNQP
<i>Citrus tristeza</i> virus (EU isolates) [CTV000]	RNQP

ვირუსები, ვიროიდები,
ვირუსის მსგავსი
დაავადებები და
ფიტოპლაზმები



	<i>Citrus tristeza virus</i> (non-EU isolates) [CTV000]	QPn
	Citrus variegation virus [CVV000]	RNQP
	Hop stunt viroid [HSVD00]	RNQP
	Satsuma dwarf virus [SDV000]	QPn

***Corylus avellana* L. – თხილი**

მავნე ორგანიზმების სახეობა	მავნე ორგანიზმების დასახელება	მავნე ორგანიზმების კატეგორია:
ბაქტერია	<i>Pseudomonas avellanae</i> Janse et al. [PSDMAL]	RNQP
	<i>Xanthomonas arboricola</i> pv. <i>corylina</i> (Miller, Bollen, Simmons, Gross & Barss) Vauterin, Hoste, Kersters & Swings [XANTCY]	RNQP
სოკოები და ოოციტები	<i>Anisogramma anomala</i> (Peck) E. Müller [CRSPAN]	QPn
	<i>Armillariella mellea</i> (Vahl) Kummer [ARMIME]	RNQP
	<i>Choristoneura</i> spp. (non-European) [1CHONG]	QPn
	<i>Verticillium albo-atrum</i> Reinke & Berthold [VERTAA]	RNQP
	<i>Verticillium dahliae</i> Kleb [VERTDA]	RNQP
მწერები და ტკიპები	<i>Anoplophora chinensis</i> (Thomson) [ANOLCN]	QP*
	<i>Anoplophora glabripennis</i> (Motschulsky) [ANOLGL]	QPn*
	<i>Oemona hirta</i> (Fabricius) [OEMOHI]	QPn
	<i>Phytoptus avellanae</i> Nalepa [ERPHAV]	RNQP
ნემატოდები	<i>Xiphinema americanum</i> Cobb <i>sensu stricto</i> [XIPHAA]	QPn
ვირუსები, ვიროიდები, ვირუსის მსგავსი დაავადებები და ფიტოპლაზმები	Apple mosaic virus [APMV00]	RNQP

***Cydonia oblonga* Mill. – კომში**

მავნე ორგანიზმების სახეობა	მავნე ორგანიზმების დასახელება	მავნე ორგანიზმების კატეგორია:
	<i>Agrobacterium tumefaciens</i> (Smith & Townsend) Conn [AGRBTU]	RNQP
	<i>Erwinia amylovora</i> (Burrill) Winslow et al. [ERWIAM]	RNQP



